

## **ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილება**

ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილებაში 2007 წლის 1 იანვრისათვის გაერთიანებული იყო 11 წევრი, მათ შორის 8 აკადემიკოსი და 3 წევრ-კორესპონდენტი.

2007 წელს განყოფილების წევრებმა გამოაქვეყნეს 2 მონოგრაფია, 43 სამეცნიერო სტატია, მათ შორის 13 – საზღვარგარეთ.

### **ა) მონოგრაფიები**

**აკად. ირ. ჟორდანია, აკად. წევრ-კორ. კბეთანელი**

1) „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბუნებრივი რესურსები და მათი გამოყენების პერსპექტივები“ (თანაავტორობით; თბილისი, 13 ნ. ო.).

შეფასებულია აჭარისა და მისი ადმინისტრაციული რაიონების სასარგებლო წიაღისეულის, ენერგეტიკული, მიწის, წყლის, ტყისა და ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების თანამედროვე მდგომარეობა და მათი რაციონალური, კომპლექსური გამოყენების პერსპექტივები.

2) „გურიის ბუნებრივი რესურსები და მათი გამოყენების პერსპექტივები“ (თანაავტორობით; თბილისი, 13 ნ. ო.).

შეფასებულია გურიის მხარისა და მისი ადმინისტრაციული რაიონების ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი და მისი რაციონალური გამოყენების პერსპექტიული მიმართულებები.

## **ბ) სტატიუბი**

### **აკად. თ.ანდრონიკაშვილი**

1) „სოიის ნათესის ბიომასის და მარცვლის მოსავლიანობის ზრდის სტიმულაციის შესაძლებლობა ბუნებრივი ცეოლითის – ფილიფსიტისა და ფილიფსიტშემცველი ორგანულ-ცეოლითური სასუქის გამოყენებით“ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცხე, ქიმიის სერია, ტ. 33, №1, 105-107).

ნაჩვენებია, რომ ჭარბტენიანი სუბტროპიკული ზონის მიწათმოქმედებაში სოიის კულტურის მაღალი მოსავლის მისაღებად ძალზე მნიშვნელოვანია ბუნებრივი ცეოლითის – ფილიფსიტის მასტიმულირებელი როლი, რაც გამოიხატება მჟავე რეაქციის მქონე ნიადაგის pH-ის განეიტრალებაში. ორგანულ-ცეოლითური სასუქის გამოყენება ზრდის სოიის ბიომასასა და მარცვლის მოსავალს სარეკორდო მაჩვენებლამდე.

2) „ბუნებრივი ცეოლითების გამოყენება მემცენარეობაში – გადახრა ბიოლოგიური მიწათმოქმედებისაკენ“ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 175, №4, 63-68).

დადგენილია, რომ ცეოლითების შეტანით მჟავე ნიადაგში მცირდება მჟავიანობა და მიიღწევა განგვა-ალ-დგენითი პოტენციალის გარკვეული მნიშვნელობა, რაც განაპირობებს ნიადაგში განსაკუთრებული მიკრობული პეიზაჟის შექმნას, კერძოდ, გიგანტური ამებების წარმოქმნას, რომლებიც აუმჯობესებენ ნიადაგის სტრუქტურას და ზრდიან მის ფორიანობას. ამასთან ერთად, იზრდება აზოტფიქსატორი მიკროორგანიზმებისა და კოჟრის ბაქტერიების რიცხვი, რაც გარდაქმნის ატმოსფერულ აზოტს აზოტოვან სასუქად. ყოველივე ეს განაპირობებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მაღალი მოსავლის მიღებას, ზოგ შემთხვევაში მინერალური საუქების გამოყენების გარეშე.

### **პარ. გამოყენისანი**

1) „ $\text{Cr}_2\text{O}_3$  და  $\text{SiO}_2$  ოქსიდების ნარევის კარბოთერმული აღდგენის თერმოდინამიკური ანალიზი“ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია, გ. 33, №3, 333-336).

შესრულებულია  $\text{Cr}-\text{Si}-\text{O}-\text{C}$  სისტემის სრული თერმოდინამიკური ანალიზი შემდეგი რეაქციებისათვის:  $\text{Cr}_2\text{O}_3 + 0,5 \text{ SiO}_2 + 4 \text{ C}$ ;  $\text{Cr}_2\text{O}_3 + 1,5 \text{ SiO}_2 + 6 \text{ C}$ ;  $\text{Cr}_2\text{O}_3 + 2,5 \text{ SiO}_2 + 8 \text{ C}$ ;  $\text{Cr}_2\text{O}_3 + 4,0 \text{ SiO}_2 + 11 \text{ C}$ . ანალიზის შედეგები ყველა შედგენილობისათვის მოცემულია დიაგრამების სახით (კომპლექსური შედგენილობის ტემპერატურისაგან დამოკიდებულება).

2) „საშუალო ნახშირბადიანი ფერომანგანუმის კაზ-მის თერმოდინამიკური ანალიზი“ (თანაავტორობით; უურნალი „მეტალურგიის, შედულებისა და მასალათ-მცოდნეობის პრობლემები“, №1(15), 8-11, თბილისი, რუსულ ენაზე).

შესრულებულია საშუალონახშირბადიანი ფეროშე-ნადნობის მისაღები ორი კაზმის სილიკოთერმული აღდგენის თერმოდინამიკური ანალიზი. გაანგარიშების შედეგები წარმოდგენილია დიაგრამების სახით.

### **პარ. ირუორდანია**

1) „საქართველოს ბუნებრივი რესურსები“ (უურნალი „კაპიტალი“, №4, 78-81, თბილისი).

განხილულია: საქართველოს მიწის რესურსები და სოფლის მეურნეობის პრიორიტეტები; ტყის რესურსები და სატყეო მეურნეობის მდგომარეობა; მტკნარი და მონერალური წყლის რესურსები; ენერგეტიკული, მათ შორის ჰიდრო-, გეოთერმული, მზისა და ქარის ენერგო-რესურსები; სასარგებლო წიაღისეულის მნიშვნელოვან სახეობათა საბადოები, რომლებიც შეადგენენ ქვეყნის ეკონომიკის სანედლეულო ბაზას. მოცემულია ბუნებ-

რიგი რესურსების რაციონალური გამოყენების რეკომენდაციები.

2) „ლითონთან აირების ურთიერთქმედება დნობით შედუღების პროცესში“ (თანააგტორობით; უურნალი „შედუღების, მეტალურგიისა და მონათესავე ტექნოლოგიების პრობლემები“, თბილისი, 40 გვ., რუსულ ენაზე).

განხილულია შედუღების პროცესში ლითონის აირებთან ურთიერთქმედება, კერძოდ, აზოტის, წყალბადისა და ჟანგბადის ხსნადობა თხევად ლითონში, აგრეთვე, შედუღების აბაზანისა და ჟანგბადის შემცველი აირების ურთიერთქმედება და ნაკერში ფორმის წარმოქმნის მექანიზმი.

3) „ლითონთა განუანგვა შედუღების პროცესში“ (თანაავტორობით; საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური უურნალი „შედუღების, მეტალურგიისა და მონათესავე ტექნოლოგიების პრობლემები“, თბილისი, 44 გვ.“ რუსულ ენაზე).

განხილულია შედუღების პროცესში ლითონის განუანგვა, რკინა-ნახშირბადის სისტემაში მიმდინარე პროცესები, დალექვითი და დიფუზური განუანგვის, განმუანგავი ელემენტების ზოგადი დახასიათების, არალითონური ჩანართებისა და სხვა საკითხები.

#### აკად. ე.ქემერტელიძე

1) „საქართველოში მოზარდი მცენარეებიდან მიღებული ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები და ორიგინალური სამკურნალო საშუალებები“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მომბეჭ, 175, №1, 91-96, ინგლისურ ენაზე).

საქართველოში მოზარდი მცენარეები შესწავლილია სხვადასხვა ქიმიური კლასის ნივთიერებებზე. მათ საფუძველზე შემუშავებულია კარდიოტონური, ათეროსკლეროზის საწინააღმდეგო, ბრონქოსპაზმოლიზური, ანტირევმატული, ანტიურემიული, ჰეპატოპროტექტორული და ნალვლის დამდენი, ანტიპერკესული, ფსორიაზის

საწინააღმდეგო, სისხლის მიმოქცევისა და კუჭ-ნაწლავის ფუნქციის მომწესრიგებელი საშუალებები. მოწოდებულია მცენარეთა ზრდის სტიმულატორი, სტეროიდული პორმონალური პრეპარატების სინთეზის ნედლეული.

2) „ტიგოგენინიდან 5α-ანდროსტან-3β, 17β-დიოლის სინთეზი“ (თანაავტორობით; Ж. „Химия природных соединений“, 1, 81-82, ტაშქენტი, უზბეკეთი, რუსულ ენაზე).

ტიგოგენინიდან გამარტივებული ტექნოლოგიური სქემით სინთეზირებულია პროსტატის ავთვისებიანი სიმსივნის საწინააღმდეგო პრეპარატი 3β-ადიოლის სუბსტანცია, რაც ჩვენში მისი წარმოების პერსპექტივას ქმნის.

3) „საქართველოში მოზარდი Ginkgo biloba, რომელ სამკურნალწამლო ნედლეული“ (თანაავტორობით; „საქართველოს ქიმიური ჟურნალი“, ტ. 7, №1, 81-83).

საქართველოში დეკორატიული მიზნით კულტივირებული რელიქტური მცენარის Ginkgo biloba-ს ფოთლების ქიმიური შესწავლით დადგენილია მათი შედგენილობის იდენტურობა ლიტერატურაში აღწერილთან, რაც სამკურნალო მცენარედ მისი გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. ჩვენში მოზარდი მცენარის ფოთლებიდან შემუშავებულია სისხლის მიმოქცევის მომწესრიგებელი პრეპარატი „გინკგო-ბათის“ სახელწოდებით. „გინკგო-ბათი“ ნებადართულია ფართო გამოყენებისათვის და უკვე იხმარება მედიცინაში.

4) „ციტოტოქსიკური ტრიტერპენული საპონინები Cephalaria gigantean-ის ფესვებიდან“ (თანაავტორობით; Chem.Pharm.Bull., 55, №1, 102-105, ტოკიო, იაპონია, ინგლისურ ენაზე).

Cephalaria gigantean-ის სკიპალოს ფესვებიდან იზოლირებულია ოლეანანის ტიპის სამი ახალი ტრიტერპენული გლიკოზიდი „გიგანტეოზიდების“ სახელწოდებით. დადგენილია მათი ქიმიური სტრუქტურები. გიგანტეო-

ზიდები D და E ანტიპროლიფერაციულ მოქმედებას ამ-  
ჟღავნებს, რომელთა მინიმალური კონცენტრაცია IC<sub>50</sub>  
3.15-7.5 მმ შეადგენს.

5) „*Symphytum asperum* და *S. caucasicum* (Boraginaceae)  
გამოყოფილი პოლი [3-(3,4-დიგიდროქსიფენილ) გლიცე-  
რინის მეჯვას] ანტიოქსიდანტური და ანტიკომპლემენტა-  
რული აქტივობა“ (თანაავტორობით; Химико-фармацевти-  
ческий Журнал, 41(1). 14-17, მოსკოვი, რუსულ ენაზე).

დადგენილია *Symphytum asperum* და *S. caucasicum*-ის  
ფესვებიდან იზოლირებული მაღალმოლეგულური წყალ-  
ში ხსნადი ფენოლური ბუნების ახალი კლასის პოლი-  
მერების (>1000 kDa) სტრუქტურა, რომლებიც ძლიერი  
ანტიკომპლემენტარული და ანტიოქსიდანტური მოქმედე-  
ბით ხასიათდებიან და შეიძლება გამოყენებულ იქნენ  
ანთების საწინააღმდეგო, ვაზოპროტექტორულ და ჭრი-  
ლობის შემახორცებელ საშუალებად.

6) „პრეპარატ ტრიბუსპონინის ტაბლეტების პირდა-  
პირი დაწესევის ტექნოლოგიის დამუშავება“ (თანაავტო-  
რობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკა-  
დემიის მაცნე, ქიმიის სერია, 33(2), 261-265).

შესწავლილია სხვადასხვა რეცეპტით მომზადებუ-  
ლი ათეროსკლეროზის საწინააღმდეგო პრეპარატ ტრი-  
ბუსპონინის სატაბლეტე მასის რეოლოგიური თვისებები  
და შერჩეულია ტაბლეტების პირდაპირი დაწესევი-  
სათვის ოპტიმალური შედგენილობა და ტექნოლოგია.  
დამზადებული ტაბლეტები სრულად აკმაყოფილებს  
საერთაშორისო ფარმაკოპეის მოთხოვნებს.

7) „*Sterculia platanifolia* და *Hammamelis virginiana*-ს  
თესლების ლიპიდები“ (თანაავტორობით; Ж."Химия при-  
родных соединений", 3, 262-263, ტაშკენტი, უზბეკეთი, რუ-  
სულ ენაზე).

შესწავლილია *Sterculia platanifolia* და *Hammamelis  
virginiana*-ს თესლების ლიპიდების მაღალი შემცველო-

ბის ნეიტრალური და პოლარული ლიპიდების ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლები და ქიმიური შედგენილობა. დადგენილია მათში აცეტილირებული ცხიმოვანი მჟავების და საინტერჯესო ფოსფოლიპიდების არსებობა.

8) „*Cercis siliquastum*, *Sapium sebiferum* და *Koelreuteria paniculata*-ს თესლების ნეიტრალური ლიპიდები“ (თანა-ავტორობით; Ж. "Химия природных соединений", 43(4), 384-386, ტაშკენტი, უზბეკეთი, რუსულ ენაზე).

ნეიტრალური ლიპიდების გამოსავალი *Cercis siliquastrum*, *Sapium sebiferum* და *Koelreuteria paniculata*-ს თესლებიდან 10-20%-ს შეადგენს. დადგენილია თითოეული მათგანის ქიმიური შედგენილობის თავისებურებანი, ცხიმოვან მჟავათა იშვიათი იზომერები, β-სიტოსტერინის, სტიგმასტერინისა და ქოლესტერინის რაოდენობრივი შემცველობა.

9) „*Centella asiatica*-ს პირველადი ინტროდუქცია აჭარის რეგიონში“ (თანაავტორობით; საქართველოს ქიმიური ჟურნალი, 7(3), 320-321).

სამკურნალო მცენარე *Centella asiatica*-ს პირველადი ინტროდუქციით დადგენილია სუბტროპიკულ ზონაში მისი როგორც ვეგეტატიური, ასევე თესლით გამრავლების შესაძლებლობა და ისახება პერსპექტივა მცენარის ფართო მასშტაბით კულტივირებისათვის.

10) „*Yucca gloriosa*: ძლიერი ანტიოქსიდანტური აქტივობის მქონე ფენოლური ნივთიერებების წყარო“ (თანა-ავტორობით; Journal of Agricultural and Food Chemistry, 55, 6636-6642, ქართულებული, ოპარა შტატი, აშშ, ინგლისურ ენაზე).

*Yucca gloriosa* – დიდებული იუკას ფენოლებიდან იზოლირებულია ფენოლური კლასის სტილბენების ჯგუფის კიდევ სამი ახალი იშვიათი სპიროსტრუქტურის ნივთიერება „გლორიოზაოლები C, D, E“, რომელთა სტრუქტურები მოწოდებულია. ისინი ერთმანეთის დიასტერეო-

მერულ იზომერებს წარმოადგენენ, გამოირჩევიან ძლიერ მაღალი ანტიოქსიდანტური მოქმედებით და თავისი ეფექტურობით მნიშვნელოვნად აჭარბებენ ცნობილ ბუნებრივ ანტიოქსიდანტურ აგენტებს.

11) „Rhododendron ungerii-ს ფოთლების ფენოლური ნივთიერებები და მათი თერაპევტული მოქმედება“ (თანაავტორობით; Химико-фармацевтический журнал, 41(1), 10-13, მოსკოვი, რუსულ ენაზე).

შესწავლილია კავკასიის ენდემური მცენარის Rhododendron ungerii-ის ფოთლების ფენოლური ნივთიერებები. მათ საფუძველზე მომზადებულია პრეპარატი „როდოპესის“ სახელმწოდებით, რომელიც პერპესის ვირუსის სრულ ინჰიბირებას იწვევს. როდოპესი წარმატებით გაიარა კლინიკური გამოკვლევა სპეციალიზებულ დაწესებულებებში. ნაჩვენებია მისი მნიშვნელოვანი თერაპევტული უპირატესობა ცნობილ ანტიპერპესულ პრეპარატებთან შედარებით. როდოპესი უკვე ფართოდ იხმარება ყველა ფორმის პერპესული დაავადების საწინააღმდეგოდ.

#### აკად. გ.ცინცაძე

1) „ამინებთან, ამიდებთან, ჰიდრაზიდებთან და ჰიდრაზონებთან ლითონების კოორდინაციული ნაერთების გამოკვლევა“ (თანაავტორობით; Вестник Киевского национального университета, вып. 44, 34-39, რუსულ ენაზე).

გამოკვლეულია პირიდინკარბონმჟავების ამინებთან, ამიდებთან, ჰიდრაზიდებთან და ჰიდრაზონებთან ლითონების კოორდინაციული ნაერთების სინთეზი და აღნაგობა. სინთეზირებული ნივთიერებების აღნაგობის კვლევა ჩატარებულია რენტგენოსტრუქტურული, სპექტროსკოპული (შთანთქმის ინფრაწითელი, კომბინაციური განძნევის და ელექტრონული სპექტრების) და სხვა ფიზიკურ-ქიმიური კვლევის მეთოდებით.

2) „კობალტისა და ნიკელის გარესფერული დინი-ტრობენზოატიონის შემცველი პეტეროლიგანდური კომპ-ლექსური ნაერთები“ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სე-რია, გ. 33, №1, 83-87).

სინთეზირებულია კობალტისა და ნიკელის კომ-პლექსნაერთები მეორადი ამინების დინიტრობენზოა-ტებთან. დადგენილია სინთეზირებული ნაერთების შედ-გენილობა და აღნაგობა. მოცემულია ამ ნაერთების სპექტროსკოპული და რენტგენოგრაფიული კვლევის შედეგები.

3) „ნიტრობენზოილჰიდრაზონისა და ლიმონმჟავას შემცველ ლითონთა კოორდინაციული ნაერთების სინ-თეზი და კვლევა“ (თანაავტორობით; საქართველოს ქი-მიური ჟურნალი, გ. 7, №1, 13-15).

მოცემულია მაგნიუმის, მანგანუმის (II) რკინის (III), კობალტის (III), ნიკელის (II), სპილენდის (II), თუთიისა და კადმიუმის კომპლექსური ნაერთების სინთეზი და კვლევა, ინფრაწითელი სპექტრული, თერმოგრაფიული და რენტგენოგრაფიული კვლევის შედეგები. დადგენი-ლია სინთეზირებული ნაერთების შედგენილობა, თერმო-ლიზი და აღნაგობა.

4) „ოქროს ფოტომეტრიული განსაზღვრა 4-მეთილ-ბენზოლაზოროდანინით ბუნებრივ და ტექნიკურ ობიექ-ტებში“ (თანაავტორობით; საქართველოს ქიმიური ჟურ-ნალი, გ. 7, № 2, 155-156).

მოწოდებულია მიკრორაოდენობა ოქროს განსაზ-ღვრის მეთოდი 4-მეთილბენზოლაზოროდანინით. მეთოდი აპრობირებულია ოქროს განსაზღვრისას ბუნებრივ (კვარციტები) და ტექნიკურ (საიუველირო წარმოების ნარჩენები და შენადნობები) ობიექტებში. ყველა შემ-თხვევაში ფარდობითი სტანდარტული გადახრის მნიშ-

გნელობა არ აღემატება 0,07-ს. მეთოდი მარტივი და საიმედოა.

5) „პეტრე ბაგრატიონის ერთი საინტერესო მოოქროების წესის შესახებ“ (თანაავტორობით; საქართველოს ქიმიური ჟურნალი, გ. 7, №2, 230-232).

განხილულია პეტრე ბაგრატიონის მიერ მოწოდებული მოოქროვების წესი ჩაყურსვის მეთოდით, რომელიც ავტორის მონაცემების მიხედვით უჩვეულო სისქის ოქროს გადაფარვის შესაძლებლობას იძლევა.

6) „ქვევრის პერმეტიზაციის ძველი წესები“ (თანაავტორობით; საქართველოს ქიმიური ჟურნალი, გ.7, №2, 233-235).

დვინოზე ჰაერის მოქმედება იწვევს მის დაავადებას (დამმარებას, ბრკის მოკიდებას და ა. შ.) ამის თავიდან აცილების მიზნით ქართველმა მედვინეებმა ჯერ კიდევ უძველეს დროში შეიმუშავეს სხვადასხვა დამცავი საშუალებები. შემუშავებულია დვინის დაცვის ქიმიური და მექანიკური მეთოდები, რომლებიც ითვალისწინებდნენ ჭურჭლის ცარიელი ნაწილიდან უანგბადის მოცილებას ან დვინის ზედაპირის დაფარვას ჰაერგაუმტარი აპკით.

7) „ქვევრის გამოყენების განსაკუთრებული შემთხვევები“ (თანაავტორობით; საქართველოს ქიმიური ჟურნალი, გ. 7, №2, 236-238).

განხილულია ქვევრის გამოყენების ორი განსაკუთრებული შემთხვევა, რომლებიც საქართველოს მთიან დასახლებებსა და ციხე-სიმაგრეებში ამ ჭურჭლის გამოყენებას უკავშირდებიან. ნაჩვენებია, რომ ქვევრის საშუალებით შესაძლებელი გახდა მედვინეობის გაგრცელება მთიან რეგიონებში, სადაც კლიმატური პირობების გამოვაზი არ ხარობს.

8) „პარა-დიმეთოლამინობენზალდეპიდის მეტა-ნიტრობენზოილჰიდრაზონის ელექტრონული სტრუქტურა და კომპლექსწარმოქმნის უნარი“ (თანაავტორობით; სა-

ქართველოს ქიმიური უნივერსიტეტი, გ. 7, №3, 255-258, რუსულ ენაზე).

კვანტურ-ქიმიური მეთოდით AM-1 გამოთვლილია გეომეტრიული და ენერგეტიკული მახასიათებლები პარა-დიმეთილამინობენზალდეჰიდის მეტა-ნიტრობენზო-ილჰიდრაზონის მოლეკულაში. მოცემულია მოლეკულის კომპლექსზარმოქმნის უნარი და გამოკვლეულია სინთეზირებული ჰიდრაზონის ზოგიერთი ფიზიკურ-ქიმიური თვისება (ხსნადობა, ლლობის ტემპერატურა, თერმული თვისებები და სხვ.).

#### აკად. გ.ციციშვილი

„ბუნებრივი ცეოლითების პოტენციური გამოყენება“ (კრებული Chemistry of advanced compounds & Materials in eastern Europe, გამომცემლობა Nova Science publishers, INC., ნიუ-იორკი, აშშ, ინგლისურ ენაზე).

განხილულია ბუნებრივი ცეოლითების დღევანდებული გამოყენება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, გამოყენების ახალი მიმართულებები, საქართველოს პოტენციალი, გამოყენების მეცნიერული საფუძვლები.

#### აკად. კ.ჯაფარიძე

1) „ფოტოქრომული სპირალუმენტი მეხსიერების ელემენტების შესაქმნელად“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, გ. 175, №4, ინგლისურ ენაზე).

მოლეკულური კომპიუტერების ოპტიკური მეხსიერების შესაქმნელად ფოტოქრომულ ნაერთებს შორის სპირალუმენტი ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო მასალად ითვლება. მიღებული და შესწავლილია გაუმჯობესებული პარამეტრების მქონე ნაერთები, განხილულია მათი გამოყენების პერსპექტივები.

2) „ფოტოქრომულ-თხევადკრისტალური სისტემები მეხსიერების ელემენტების შესაქმნელად“ (თანაავტორობით; Proceedings of the International Conference, ობილისი,

Nova sciences Publishers INC, 75-81, ნიუ-იორკი, აშშ, ინგლისურ ენაზე).

თხევადი კრისტალებისა და ფოტოქრომული ნაერთების ნარევებს საინტერესო ფიზიკურ-ქიმიური და ოპტიკური თვისებები ახასიათებს. მათი გამოყენება პერსპექტიულია ოპტიკური მეხსიერების ელემენტების, გადამრთველების, თერმოინდიკატორებისა და სხვათა შესაქმნელად.

### პატჯაფარიძე

1) „მეორე ჰარმონიკის სიგნალის განსაზღვრის მეთოდის გამოყენება ალიფატური სპირტების ადსორბციადესორბციის შესწავლისას ვერცხლისწყალზე“ (თანაავტორობით; Russian Journal of Electrochemistry, V. 7, გვ. 850).

გამოკვლეულია ბუთანოლ-1, ბუთანოლ-2, გექსანოლის, ჰენტანოლისა და იზოამინის მოლეკულების ადსორბციულ-დესორბციული პროცესები. კვლევები ჩატარდა მეორე ჰარმონიკის მეთოდის გამოყენებით სხვადასხვა დიაპაზონის რადიოტალღებისათვის. მეტალსნარის გამყოფ საზღვარს ერთდროულად ედება ორი პოტენციალი – მუდმივი და მცირე ცვლადი. მუდმივი პოტენციალის მნიშვნელობა უახლოვდება შესაბამის ადსორბციის პოტენციალს, ხოლო ცვლადი პოტენციალის ამპლიტუდა 2 დან 20 მგ-ის ზღვრებშია და სიხშირე ათეული ჰერციდან ათეულ კილოჰერცამდეა. სპირტის მოლეკულებსა და ელექტროდს შორის ადსორბციისას, მუხტის გადატანის არარსებობის მიუხედავად, მეორე ჰარმონიკის მრუდების ყველა პიკზე, სპირტების სხვადასხვა კონცენტრაციისა და ცვლადი დენის ამპლიტუდის დროს, შეიმჩნევა კვადრატული დამოკიდებულება ელექტრომაგნიტური გამოსხივების U დიაპაზონის რადიოტალღების სიგნალისა და ცვლადი პოტენციალის Evi-ს შორის. ეთილენგლიკოლში ნატრიუმის, კალიუმისა და ცეზიუმის ქლორიდების დანამატიანი

სისტემებისათვის მოყვანილია კვლევის შედეგები. როგორც ექსპერიმენტული მონაცემების ანალიზმა გვიჩვენა, ქლორიდების კონცენტრაციის შემცირებით პიკების რაოდენობა იზრდება. კათიონების ზომა (K, Na, Cz) არ მოქმედებს საკვლევი სიგნალის მნიშვნელობაზე. ამავე დროს ქლორიდების კონცენტრაციის შემცირებას მივყართ სიგნალის მცირე ზრდისაკენ.

2) „ტეტრაოქტილჩანაცვლებული ამონიუმის კათიონების ადსორბცია ლითონ/ხსნარის საზღვარზე“ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია, ტ. 33, №2, 161-165).

დადგენილია, რომ ტეტრაალკილამონიუმის კათიონების ადსორბცია ვერცხლისწყალ/ეთილენგლიკოლის გამყოფ საზღვარზე ძირითადად განპირობებულია როგორც სოლვოფობური ძალების მიერ ხსნარის მოცულობიდან მათი გამოდევნით, ასევე ელექტროსტატიკური ურთიერთქმედებით. ტეტრაკათიონების ადსორბციაში შესამჩნევი წვლილი შეაქვს ადსორბატის მუხტის სიმკვრივეს, რომელიც მცირდება შემდეგნაირად: ტეტრაბუთილამონიუმის იონი > ტეტრაგეპტილამონიუმის იონი > ტეტრაოქტილამონიუმის იონი.

#### **აკად.წევრ-კორ. ი.ბარათაშვილი**

„მონოკრისტალური Si-Ge შენადნობების არადრეკადი თვისებები“ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 175, №4, 62-65, ინგლისურ ენაზე).

შესწავლილია სილიციუმ-გერმანიუმის შენადნობების მონოკრისტალების შინაგანი ხახუნისა და ძვრის მოდულის ტემპერატურული დამოკიდებულება ( $20-750^{\circ}\text{C}$ ). გამოვლენილია რელაქსაციური პროცესები და დადგჭილია მათი დისლოკაციური ბუნება.

#### **აკად.წევრ-კორ. შ.სამსონია**

1) „ინდოლონდოლების ქიმია“ (თანაავტორობით; Russian Chemical Review, გ. 76, №4, 313-326/Успехи Химии, გ. 76, №4, 348-361, ინგლისურ და რუსულ ენებზე).

აღწერილია ჩანაცვლებული და არაჩანაცვლებული ინდოლონდოლების სინთეზის მეთოდები. განხილულია ინდოლონდოლურ სისტემებში ელექტროფილური ჩანაცვლების რეაქციების თავისებურებანი და ზოგიერთი გარდაქმნები გვერდით ჯაჭვებში.

2) „ზოგიერთი 2,3-დიმეთილინდოლების ნიტრირების რაოდენობრივი შეფასება“ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე. ქიმიის სერია, გ. 33, №4, 416-418).

კვანტურ-ქიმიური ნახევრადემპირიული AM1 მეთოდით გათვლილია 2,3-დიმეთილინდოლის 5-, 6- და 7-წარმოებულებში ბენზოლის ბირთვის ნახშირბადის ატომებზე სრული და  $\pi$ -ელექტრონული მუხტები. მუხტის კონტროლის საშუალებით ნაჩვენებია ნიტრირების რეგისტრაციული შესაძლებლობა.

3) „სილილური ეთერების ენოლებიდან 1,4-დიკეტონების წარმოქმნის რეაქციის მექანიზმის შესწავლა“ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე. ქიმიის სერია, გ. 33, №4, 413-415).

ნახევრადემპირიულ კვანტურ-ქიმიური MNDO მეთოდით აგებულია ენოლის სილილური ეთერიდან 1,4-დიკეტონის წარმოქმნის რეაქციის მექანიზმი.

4) „ამინოპირიდონშემცველი ნაერთების სპექტრული თვისებების შესწავლა“ (სტუ-ს შრომები, №4 (466), 57-63).

შესწავლილია დიამინიანტრადიპირიდონების N-ალკილ- და არილწარმოებულების ქცევა სხვადასხვა ენერგიის მქონე სხივებით დასხივებისას. ნაჩვენებია, რომ მაქსიმუმების მდებარეობა დამოკიდებულია პირიდონის ბირთვების რაოდენობაზე, მათ მდებარეობაზე, ჩამნაც-

ვლებლის ბუნებაზე, ხოლო აზაანტრაპირიდონული ნა-  
ერთების შემთხვევაში – ბენზოლის ბირთვების რაოდე-  
ნობაზე, მდებარეობაზე და ჩამნაცვლებლის ელექტრო-  
ნოდონორულ თვისებაზე. აღგზნებულ მდგომარეობაში  
პროცენის შიდამოლექულური გადატანის ვარირება გან-  
საზღვრავს მაქსიმუმების მდებარეობას და ფლუოროს-  
ცენციის ჩაქრობის პროცესს.

#### აკად.წევრ-კორ. გ.ციციშვილი

1) „ცეოლითების მიკროფორული სტრუქტურების  
მსგავსება“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული  
აკადემიის მოამბე, ტ. 175, №1, 52-56, ინგლისურ ენაზე).

განხილულია T-ატომების ექვსი მარყუჟისებრი კონ-  
ფიგურაცია (მარტივი გრაფი, რომელიც გვიჩვენებს, რამ-  
დენ სამ თუ ოთხწევრიან რგოლებთანაა დაკავშირებუ-  
ლი მოცემული T-ატომი), რაც ყველაზე უფრო ხშირად  
ცეოლითური მასალების რეალურ სტრუქტურებში გვხვ-  
დება. მომიჯნავეობის შესაბამისი მატრიცების დამახა-  
სიათებელი პოლინომების  $P_{G(A)}=a_0+a_1x+a_2x^2+\dots a_{n-1}x^{n-1}+x^n$  გა-  
ანგარიშებით გრაფები წარმოდგენილია თ-განზომილე-  
ბიანი ვექტორების ( $a_0, a_1, a_2, \dots, a_{n-1}, 1$ ) სახით, რაც გამოყე-  
ნებულია მათი მსგავსების რაოდენობრივი შეფასებისათ-  
ვის ცნობილი ალგორითმის საფუძველზე, თუმცა დამა-  
ტებით შემოღებულია ნორმირება თვითმსგავსების ხა-  
რისხის ერთეულად მიღების გათვალისწინებით. შემო-  
თავაზებული მიღგომის შეორე სიახლეს წარმოადგენს  
„მოკლე“ ვექტორის „სრიალის“ განხილვა უფრო მაღა-  
ლი განზომილების მქონე ვექტორის გასწვრივ, რაც  
ტოპოლოგიურად გრაფში ერთი ან რამდენიმე დაუ-  
კავშირებელი წვეროს დამატებას ნიშნავს. ეს კი ცეო-  
ლითურ მასალებში, დაწყვეტილი სტრუქტურების ჩათ-  
ვლით, ყოველთვის შესაძლებელია. ამავე მიღგომის  
ფარგლებში განხილულია კონფიგურაციული მარყუჟე-  
ბის სირთულე და ორი კონფიგურაციული მარყუჟის

მქონე ცეოლითური სტრუქტურების დახასიათების საკითხები.

2) „დინამიკურ პირობებში სკოლეციტზე მიმდინარე იონმიმოცვლის კინეტიკის დახასიათება“ (თანააგტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია, ტ. 33, №2, 198-203).

შესწავლითა ბუნებრივ სკოლეციტზე დინამიკურ პირობებში მიმდინარე იონმიმოცვლის კინეტიკა ერთ- და ორმუხებიანი კატიონებისათვის. მიღებული კინეტიკური მრუდების ანალიზის საფუძველზე დადგენილია, რომ სკოლეციტის ზედაპირზე და მისი მიკროფორმვანი სტრუქტურის შიგნით მდებარე იონებს შორის მიმოცვლის პროცესის წონასწორობის დამყარებაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს გარედიფუზური პროცესები, ამასთანავე, დინამიკური წონასწორიბის დამყარების ხანგრძლივობა პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაშია „შემავალი“ კატიონის იონურ რადიუსზე. რაოდენობრივად შეფასებულია მიმოცვლის ძირითადი კინეტიკური პარამეტრები – გარე- და შიგადიფუზური პროცესების კონსტანტები და დიფუზიის ეფექტური კოეფიციენტები.

3) „საქართველოს ტერიტორიაზე ბუნებრივი ცეოლითების გეოლოგიური კვლევა-ძიების ისტორია“ (თანააგტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია, ტ. 33, №2, 266-269).

განხილულია საქართველოში ბუნებრივი ცეოლითების კვლევა-ძიების ისტორია. ნაჩვენებია ქართველი მეცნიერ-გეოლოგების როლი საქართველოს სხვადასხვა სახეობის ცეოლითების აღმოჩენისა და მოძიების საქმეში. წარმოდგენილია საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ბუნებრივი ცეოლითების სრული ნუსხა ქრონოლოგიური თანმიმდევრობით და საქართველოს უმნიშვნელოვანესი ცეოლითური საბადოების დახასიათება.

4) „ზოგიერთი იზოსტრუქტურული ცეოლითების შესწავლა 0% სპექტროსკოპიის მეთოდით“ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია, ტ. 33, №3, 324-328).

დადგენილია, რომ 0% სპექტროსკოპიის მეთოდით იზოსტრუქტურული ცეოლითების დახასიათების დროს შესაძლებელია განისაზღვროს არა მარტ  $\text{SiO}_2/\text{Al}_2\text{O}_3$  სხვაობა და მიმოცვლითი კათიონებისა და წყლის მოლექულების გავლენა სტრუქტურულ ცვლილებებზე ბუნებრივ და სინთეზურ ცეოლითებში, არამედ სტრუქტურული რგოლების ზომების გავლენა ცეოლითების მიკროფორმული სტრუქტურის დეფორმაციულ ცვლილებებზე, რაც ნაჩვენებია 12-წევრიანი (ჯგუფი FAU), 10-წევრიანი (ჯგუფი HEU) და 8-წევრიანი (ჯგუფი NAT) რგოლების მაგალითებზე.

5) „ლომონტიტზე მიმდინარე იონმიმოცვლის კინეტიკა დინამიკურ პირობებში“ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია, ტ. 33, №3, 329-332).

შესწავლილია ბუნებრივ ლომონტიტზე დინამიკურ პირობებში მიმდინარე იონმიმოცვლის კინეტიკა. განხილულია იონმიმოცვლითი წონასწორობის დამყარების სიჩქარეებსა და „შემავალი“ კატიონების იონურ რადიუსებს შორის კორელაციის საკითხი. დადგენილია გარედა შიგადიფუზური პროცესების კონსტანტები და დიფუზიის ეფექტური კოეფიციენტები.

6) „საქართველოში გაუვარგისებული პესტიციდების მარაგის გაუვნებელყოფის შესაძლო მეთოდები“ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია, ტ. 33, №3, 350-354).

წარმოდგენილია იაღლუჯის ცენტრალიზებული სამარხის მდგომარეობის შესწავლის შედეგები, გაუვარგისებული პესტიციდების მარაგის ინვენტარიზაციის,

შემდგომი დროებითი შენახვისათვის მათი გადაფასო-ებისა და უსაფრთხო შენახვის უბნის მოწყობის ჩათვლით. გაერთიანებული ერების კვებისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) რეკომენდაციების გათვალისწინებით შემუშავებულია საქართველოში გაუ-ვარგისებული პესტიციდების მარაგის გაუვნებელყოფის მეთოდები.

7) „ცეოლითების, ცეოლითმაგვარი და სხვა მიკრო-ფორული სტრუქტურების მსგავსება“ (თანაავტორობით; კრებული Chemistry of advanced compounds & Materials in eastern Europe, გამომცემლობა Nova Science publishers, INC., ნიუ-იორკი, აშშ, ინგლისურ ენაზე).

T-ატომების მარყუჟისებრ კონფიგურაციათა მომიჯნავეობის მატრიცების დამახასიათებელი პოლინიმების გაანგარიშების გზით შეფასებულია სხვადასხვა მიკრო-ფორული სტრუქტურების მსგავსება და სირთულე ერთი ან მეტი კონფიგურაციული მარყუჟის არსებობის პირობებში.

ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილების წევრები 2007 წელს ხელმძღვანელობდნენ, კონსულტაციას უწევდნენ და მონაწილეობდნენ 10 სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს შესრულებაში.

განყოფილების წევრების მიერ საანგარიშო პერიოდში მოპოვებულია საქართველოს 2 და საზღვარგარეთის 2 გრანტი.

2007 წელს განყოფილების წევრების მიერ მიღებულია 7 პატენტი გამოგონებაზე.

განყოფილების წევრები მონაწილეობდნენ სამეცნიერო კონფერენციების მუშაობაში: აკად. თ.ანდრონიკაშვილმა მონაწილეობა მიიღო XI სრულიად რუსეთის სიმპოზიუმის მუშაობაში „ადსორბციის, ფორიანობის და ადსორბციული სელექტიონის თეორიის აქტუალური საკითხები“ (ქ.მოსკოვი); აკად. ი.ჟორდანიამ მონაწილეობა

მიიღო საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნოლოგიური სემინარის მუშაობაში „მაგისტრალური მილსადენების შედუდების პროცესები და ტექნოლოგიები” (ქ.თბილისი); აკად. გეგმერტელიძემ მონაწილეობა მიიღო სრულიად რუსეთის სამეცნიერო კონფერენციის „ორგანული ქიმიის თანამედროვე პრობლემები” (ქ.ნოვოსიბირსკი, რფ), საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ბუნებრივ ნივთიერებათა ქიმია, ტექნოლოგია და სამედიცინო ას-პექტები” (ქ.ალმატი, ყაზახეთი), საერთაშორისო სიმპოზიუმის „ფიზოქიმიის თანამედროვე და მომავალი პერსპექტივები” (ქ.ბრეშია, იტალია) მუშაობაში; აკად. გ.ცინცაძემ მონაწილეობა მიიღო ზოგად და გამოყენებით ქიმიაში დ.მენდელეევის XVIII ყრილობის მუშაობაში, რომელიც მიეძღვნა დ.მენდელეევის ყრილობების 100 წლისთავს (ქ.მოსკოვი); აკად.წევრ-კორ. შ.სამსონიამ მონაწილეობა მიიღო მე-3 საერთაშორისო კონფერენციაში „სამედიცინო და ფარმაცევტული ქიმია” (ანტალია, თურქეთი); ქ.თბილისში გამართული საერთაშორისო კონფერენციის „სპეციფიკური თვისებების მქონე ნაერთები და მასალები“ მუშაობაში მონაწილეობდნენ აკად. გ.ცინცაძე, აკად. კ.ჯაფარიძე, აკად.წევრ-კორ. ი.ბარათაშვილი, აკად.წევრ-კორ. შ.სამსონია და აკად.წევრ-კორ. ვ.ციცოშვილი, ხოლო კავკასიის I საერთაშორისო კონფერენციაში „პოლიმერები და კომპოზიციური მასალები“ – აკად. კ.ჯაფარიძე და აკად.წევრ-კორ. შ.სამსონია.

ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილებამ: განიხილა იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის დირექტორის პროფ. ა.ბაკურიძის მოხსენება თემაზე: „ფარმაკოქიმიის განვითარების პერსპექტივები საქართველოში“ და რეკომენდაცია მისცა აკადემიის პრეზიდიუმზე განსახილველად. განყოფილებამ აკადემიის პრეზიდიუმზე წარუდგინა აგრეთვე პ.მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის თანამშრომლების პროფ. ა.დოლიძის, ქიმიის მეცნიერებათა

კანდიდატების ი.მიქამისა და მ.ქლენტის კანდიდატურები პეტრე მელიქიშვილის სახელობის პრემიის მისანიჭებლად; მოისმინა და განიხილა საჯარო სამართლის იურიდიული პირების – პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის, რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის, იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის, ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობისა და მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტების 2006 წლის სამეცნიერო და სამეცნიერო-საორგანიზაციო საქმიანობის ანგარიშები და სათანადო დასკვნები გადასცა სამეცნიერო-საორგანიზაციო განყოფილებას; მოისმინა ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერ-კონსულტანტის პროფ. თ.ხოფერიას სამეცნიერო მოხსენება „არაძირადიორებული ლითონებით ძვირფასი ლითონების შემცვლელი, სინათლის სხივების ენერგიის გარდამქმნელი კონკურენტუნარიანი ფხვნილოვანი და ფიროვანი მიკროდა ნანოტექნოლოგიები“ და მიზანშეწონილად ჩათვალა ამ მოხსენების განხილვა მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილებაში.